

„რომ ვერ ისილავს სანუკვარ შედეგს, ჭეშმარიტებას ვინც ვერ იმუშავებს“

ეს ტაბი საქართველოს ეროვნულ გმირის, მერაბ კოსტავას ცნობილი ლექსიდან „მას ქრისტესმისერს“ ავიღეთ. მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას დამსახურება გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ეროვნული მოძრაობის განახლება, შემდგომში აზვირთება, წინაპრობის შექმნა საბჭოთა იმპერიის დასაშლელად და დამოუკიდებლობის მოპოვება.

30 წელი შესრულდა 1989 წლის 9 აპრილის ცნობილი მოვლენებიდან. საბჭოთა იმპერიას სისხლის და ძალადობის „მდიდარი“ ისტორია ჰქონდა. ისინი იმ გზის გამგრძელებელი იყვნენ, რომლითაც 1956 წლის 9 მარტს თბილისში საბჭოთა არმიის ნაწილებმა არაადამიანური სისასტიკით დახვრიტეს ასეულობით ქართველი პატრიოტი. ამ გამოვლენებში მონაწილეობდნენ „კორ-

ვალანები“, ვერ კიდევ სკოლის მოსწავლეები ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვივა სისარულიძე, გურამ დონაშვილი... იმავე წელს - ბუდაპეშტში, 1968 წელს - პრადამი, საბჭოთა არმიის ნაწილებმა ტანკებით გათელეს უნგრელი და ჩეხი პატრიოტების თავისუფლებისკენ ლტოლვის სურვილი.

1989 წლის 9 აპრილი „პერესტროიკის“ ნიღბის ქვეშ შემავალი საბჭოთა იმპერიის ნამდვილი სახის წარმოჩენა იყო.

საბჭოთა სპეცრაზმელებმა 9 აპრილს, გამთენიისას ალესილი ნიღბებით აჩეხეს და მომწამვლელი გაზით გაუგდეს ქართველი გოგობები.

9 აპრილს ზვარაკად შეეწირნენ: აზა ადამია, ნათია ბაშლავიშვილი, ეკა ბეჟანიშვილი, ნატო გიორგაძე, თამუნა დოლიძე, თინა ენუქიძე, ნინო თოიძე, ზარია

კიკვაძემანანა დოლიძე, თამარ მულაიშვილი-სვანიძე, მანანა მელქაძე, მამუკა ნოზაძე, ვია ქარსელაძე, ნანა სამარგულიანი, შალვა ქვასროლიანი, ნოდარ ჯანგირაშვილი, შინა ჯინჭარაძე, ელისო ჭიპაშვილი, თამარ ჭოველიძე, მარინე ჭყონია-სამარგულიანი...

9 აპრილის ტრაგედიას ასე აფასებდა ჩეხეთის ეროვნული მოძრაობის ლიდერი ვარცლავ ჰაველი: „9 აპრილის მოვლენებმა საქართველოში დააჩქარა არა მარტო იმპერიის დაშლა, არამედ ხელი შეუწყო ადამიანთა უფროსი განთავისუფლებას. კრემლის გადაწყვეტილი ჰქონდა ძალის გამოყენება ანალოგიურ შემთხვევაში, მაგრამ დაინახა რა მსოფლიო საზოგადოების მწვავე რეაქცია, ჩაფიქრებულ ღონისძ-



▶▶▶ გვ-3



ა ლ ი რ ნ ი


უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

ქ ო მ ე ლ კ ვ ი რ ი უ მ ლ ი ბ ა მ ო მ ო მ ა . № 14 (10308) 8 აპრილი, 2019 წ. შპსი 60 თმთრი.

გაზეთი ბაზოლის
1931 წლის 5 იანვრიდან

ურეში ბუღარის მოსაწყობად 5 მილიონი ლარი დაიხარჯება



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეში ბუღარის და მისი მიმდებარე ტერიტორიის, ასევე ბუღარზე გასასვლელის მოწყობის და რეკონსტრუქციის-თვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 5 მილიონზე მეტი ლარი დაიხარჯება. შესაბამისი სამუშაოების შესრულებაზე ტენდერი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გამოაცხადა. შესყიდვის საგარეო ღირებულება 5 627 316 ლარია.

პროექტი მოიცავს ურეის ბუღარის და მისი მიმდებარე ტერიტორიის, ე.თა. მუნიციპალიტეტის და ასევე, ბუღარის პარალელური ქუჩის სამშენ-ბლო სამუშაოს. მოეწყობა ბორცოები, ტროტუარი, საგალი ნაწილი ორივე მხარეს ფილაქით, ახალი სანაბი მთელს ქუჩაზე. გარე განათების სრულად ახალი სისტემა.

რაც შეეხება თავად სანაბიო ზოლს ანუ ბუღარს - მოეწყობა ცენტრალური შესასვლელი (სანადილობლი); ფენით მოსარულეთა ბილიკი და ველობილიკი; მთავარი მოედანი (მოსასვენებელი ზონა სანადილობლით); სველი წერტილები, რომლებიც ადაპტირებული იქნება შშმ პირთათვის; ბუღარის

მთელს სივრცეზე მცირე მოედნები და სეზონური კაფეებისთვის და კომერციული ობიექტებისათვის.

განხორციელდება ე.თა. მუნიციპალიტეტის ქუჩის და ბუღარის დამაკავშირებელი გასასვლელის რეკონსტრუქცია; მოეწყობა მცირე არქიტექტურული ფორმები და ბუღარის ინვენტარი; რეკრეაციული ზონები; ბავშვთა გასართობი მოედნები/ზონები სპორტული აქტივობებისთვის, სანაბიო ზოლის მთელს სივრცეზე. პროექტით გათვალისწინებულია ასევე დეკორატიული გამწვანებისა და მოსასვენებელი ზონების, ველობილიკების გასაქრავებელი ადგილის, პარკინგის და განვითარების მოწყობა.

სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 თვის განმავლობაში უნდა შესრულდეს, თუმცა, როგორც ტენდერის პირობებშია მითითებული „აღნიშნული ვადა არ შეიცავს ურეისთვის სეზონურად ყველაზე მეტად დატვირთულ თვეებს ივლისს და აგვისტოს. შესაბამისად სამუშაოების სრულად მიწოდება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების დადებიდან 12 კალენდარული თვის ვადაში“.

პრემიერ-მინისტრი გურიაში

პრემიერ მინისტრმა შუა სურამში ახალაშენებული სკოლა მოინახულა

პრემიერ-მინისტრი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა სურების ახალაშენებულ სკოლაში იმყოფებოდა, სადაც მოსწავლეებსა და პედაგოგებს შეხვდა. მამუკა ბახტაძე მათ განათლების რეფორმის შესახებ ესაუბრა და აღნიშნა, რომ მსგავსი თანამდროვე სტანდარტების სკოლები საქართველოს მასშტაბით აშენდება. მთავრობის მეთაურმა სოფლის ისტორიის მეთაურმა სკოლის მოსწავლეების მიერ მომზადებული პრეზენტაცია მოისმინა და ბავშვებს, მათ პედაგოგებსა და მშობლებს მადლობა გადაუხადა.

პრემიერის თქმით, მსგავსი ნიჭიერი ახალგაზრდების მაქსიმალური ხელშეწყობა და მათი ნიჭის რეალიზაციის შესაძლებლობების გაჩენა მთავრობისთვის პრიორიტეტულია. „განათლების რეფორმა და ამ სფეროში ინვესტიციების განხორციელება არის ჩვენი მთავრობის მთავარი პრიორიტეტი. გურიაში რამდენიმე ახალი სკოლა შენდება. ამ სთან ერთად, არის რესურსი გამოთავისუფლებული, იმისთვის, რომ გავაორმაგოთ სკოლებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობა. ჩემი ინტენციის საგანია ინტერნეტიზაციის პრ-



ოქეტი. გურიაში ჩვენ გვაქვს ითარების პარალელურად არის ადგილები, სადაც არის პრობლემა და ბუნებრივია, სკოლებისა და ბაღების განვუკა ბახტაძემ.

ბუკისციხე - შუა სურამის გზის რეაბილიტაცია სრულდება



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი მნიშვნელობის ბუკისციხე-ზემო სურების დამაკავშირებელი გზის 6,5კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. მთავრობის მეთაურმა მშენებლებზე მოსურების დამაკავშირებელი გზის 6,5კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. მთავრობის მეთაურმა მშენებლებზე მოსურების დამაკავშირებელი გზის 6,5კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. მთავრობის მეთაურმა მშენებლებზე მოსურების დამაკავშირებელი გზის 6,5კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

უშაოების მიმდინარეობის შესახებ. პროექტი, რომლის ღირებულება 2,5 მილიონ ლარს აღემატება, თვის ბოლომდე დასრულდება. სამშენებლო სამუშაოებს, რომელზეც 38 ადამიანია დასაქმებული, საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ბუკისციხე-ზემო სურების საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ადგილობრივ უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას, სოფლების ერთმანეთთან და ადმინისტრაციულ ცენტრთან უკეთ დაკავშირებას, ასევე რეგიონში ტურიზმის განვითარებას. მამუკა ბახტაძე ადგილობრივ მოსახლეობას მთავრობის რეფორმების შესახებ ესაუბრა, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად ახალი სკოლებისა და ბაღების მშენებლობა იგეგმება. საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას პრემიერი ვიცე-პრემიერთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულ ზურაბ ნასარასთან ერთად გაეცნო.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- განსვენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:
ერთი თვით - 2,40 ლარი,
სამი თვით - 7,20 ლარი,
6 თვით -14,40 ლარი,
ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100
საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელი
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი
ოქმებათი აღიონზე
«ალიონით»

პრემიერმა სოფელ დვავში ასფალტის ქარხანა დაათვალიერა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვავში ასფალტის ქარხანა - **NEW ROAD**-ში იმყოფებოდა, რომელიც სახელმწიფო პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში დაფინანსდა. მთავრობის მეთაურმა საწარმოო პროცესის შესახებ ინფორმაცია ქარხნის ხელმძღვანელებისგან მიიღო.

ქარხანაში, რომლის საინვესტიციო ღირებულება 10 მილიონი ლარია, 44 ადამიანია დასაქმებული. **NEW ROAD**-ის ასფალტ-ბეტონის ქარხანა კავკასიაში ერთ-ერთი უნიკალური საწარმოა და აღჭურვილია ევროპული სტანდარტების უახლესი, გერმანული დანადგარებით.

მაშუა ბახტაძე ოზურგეთის თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მაშუა ბახტაძემ ოზურგეთის ალ.წუწუნავას სახელობის დრამატული თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოებს 18 მილიონი ლარით ფონდი „ქართუ“ აფინანსებს და მისი დასრულება მომავალ წელს იგეგმება. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 120 ადამიანია დასაქმებული. სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის

შესახებ დეტალური ინფორმაცია პრემიერს ფონდ „ქართუ“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნიკო ჩხეტიანიამ მიაწოდა. 1962 წელს აშენებული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური თეატრი გურიის რეგიონისთვის მნიშვნელოვან კულტურულ ობიექტს წარმოადგენს. რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ თეატრი მაყურებელს ნოღარ დუშაძის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლის პრემიერაზე უმასპინძლებს.

ზვიად გამსახურდიას დაადგინდნ 80 წლისთავს მიძღვნი



ალიონი. 31 მარტს, ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 80 წლის-თავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

საღამოს გასული საუკუნის 80- 90-იანი წლების ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები და გურიის გუბერნიისა და ოზურგეთის მნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. საღამოს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორი **ზაზა ჯინჯარაძე** უძღვებოდა.

არაერთი ვიდეოკადრი იქნა ნაჩვენები ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობიდან. საღამო ფოლკლორულ ანსამბლ „შემოქმედის“ მიერ შესრულებული „მე-ლელო“ გაიხსნა.

„კიდევ ერთხელ გავისხენეთ საქართველოს პირველი პრეზიდენტი და მისი დამსახურება ქვეყნის წინაშე. მან თავის თანამებრძოლებთან ერთად საკმაოდ რთული გზა გაიარა და მისი როლი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესია. ჩვენი,

თითოეული ადამიანის ვალია, სათანადო პატივი მივავით მის ხსოვნას და უდიდესი პატივისცემით მოვიხსენიოთ,“- აღნიშნა თავის გამოსვლაში გურიის გუბერნატორმა **ზურაბ ნასარაძე**.

სიტყვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბერი **კონსტანტინე შარაშენიძე** გამოვიდა.

ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას როლზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაში ისაუბრა საქართველოს პელსინკის კავშირის წევრმა, ცნობილმა მსახვარმა და საზოგადო მოღვაწემ **ვანტანე მაქეშვილაძე**.

ემოციური გამოხვლა ჰქონდა წმ. ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრს, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **მზია ბაკურაძეს**.

საღამო ანსამბლ „შემოქმედის“ სიმღერით „ჩემო კარგო ქვეყანა“ დასრულდა.

პრემიერი პროფესიულ კოლეჯ ჰორიზონტში იმყოფებოდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოზურგეთში პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტში“ იმყოფებოდა. მამუკა ბახტაძემ დეტალური ინფორმაცია მოისმინა იმ პროფესიების შესახებ, რომელთა დაუფლებას სასწავლებელი ახალგაზრდებს სთავაზობს. სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება „ჰორიზონტი“ ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, მომსახურების სფეროს და საინჟინრო მიმართულების 18 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ასორციელებს, მ პროფესიული კოლეჯის დირექტორის ინფორმაციით, 2017-2018 წლებში, სასწავლებელს ჰყავდა 951 კურსდამთავრებული, რომელთა დაახლოებით 80% უკვე დასაქმებულია. კოლეჯის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლები არიან

გურიისა და აჭარის რეგიონების სასტუმროები, რესტორნები, სამშენებლო კომპანიები, აგრარული მიმართულების საწარმოები, გურიის რეგიონის სატყეო სამმართველო და ა.შ. მთავრობის მეთაურმა განათლების მასშტაბურ რეფორმაზე ისაუბრა, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობაა. მამუკა ბახტაძემ საზოგადოებრივი პროფესიული სასწავლებლების მიერ ქვეყნის მასშტაბით ამოქმედების მნიშვნელობას, რათა ახალგაზრდები დაეუფლონ ყველაზე მოთხოვნი პროფესიებს, რაც სასწავლებლის დასრულებისთანავე მათი დასაქმების გარანტია იქნება. პრემიერი ასევე გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიას გაეცნო.

დაბა ნასაკირალში ახალი სკოლა აშენდება

დაბა ნასაკირალში 600 მოსწავლეზე გათვლილი ახალი სკოლა აშენდება, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ დღეს სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებთან შეხვედრისას განაცხადა. პრემიერმა ვიცე-პრემიერმა მათა ცეტიშვილმა ახალი სკოლის მაქსიმალურად მოკლე ვადაში დაბაროქმეტება და მშენებლობის წესსე დაწყება დაავალა. მას შემდეგ, რაც ახალი სკოლა აშენდება, ძველი სკოლის ტერიტორიაზე ახალგაზრდული ცენტრი მოეწყობა. მთავრობის მეთა-

ურმა მოსწავლეებთან საუბრისას ყურადღება გაამახვილა გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად, განათლების სფერო მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ით, ანუ ბიუჯეტის მეოთხედით დაფინანსდება. პრემიერის განცხადებით, განათლების ბიუჯეტი, რომელიც წელს 1,6 მილიარდ ლარს შეადგენს, ეტაპობრივად გაიზრდება, მომავალ წელს 2 მილიარდი, 2021 წელს - 2,5 მილიარდი, ხოლო 2022 წელს - 3,4 მილიარდი, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის 6% იქნება.

ნატოს დაარსებიდან 70 წლის აღსანიშნავად საქართველში მოსწავლეთა გამოფენა გაიმართა

ალიონი. ნატოს დაარსებიდან 70 წლის სათბილო თარიღთან დაკავშირებით აღიანისი გენერალური მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა** შპს-ს კორნეტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა:

„ჩვენ ვართ აღიანისი ბევრი განსხვავებული ერთი.“

ნატოს სიძლიერე იმისა, რომ მიუხედავად ჩვენი განსხვავებებისა, ყოველთვის შეგვეძლოს გავერთიანებულიყავით ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო.

რომ დავიცვათ ერთმანეთი და უზრუნველვყოთ ჩვენი ხალხის

უსაფრთხოება.“

4 აპრილს, ნატოსა და ევროკავშირის დახმარებით დაკავშირებით ოზურგეთის საშუალო სკოლაში ამ სკოლის მოსწავლეების გამოფენა გაიმართა. ამ სკოლის მოსწავლეებმა 15 საინტერესო ნამუშევარი წარმოადგინეს სტუმრებს.

გამოფენის გახსნას დაესწრო ნატოსა და ევროკავშირის საქართველოს საინფორმაციო ცენტრის გურიის ბუროს წარმომადგენელი **სამონ სიამშვილი**, რომელმაც მადლობა გადაუხადა ბავშვებს საინტერესო ნამუშევრების წარმოდგენისთვის.



„რომ ვერ იხილავს სანუკვარ უდებს, ჭიშმარობას ვინც ვერ იმზვილდებს“



ნატო გიორგაძის საფლავთან. 9 აპრილი, 1990 წ.

ებზე ხელი აიღეს.“

9 აპრილის შემდეგ მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, გიორგი ჭანტურიას და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა ლიდერების დაპატიმრებას არა მარტო დღეაქალაქში, საქართველოს ყველა რეგიონში მოსახლეობის მწვავე პროტესტი მოჰყვა. დაიწყო მასიური შიმშილობები პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებისა და 9 აპრილის ღამეს მოწამული ადამიანებისთვის შესაბამისი მკურნალობის მოთხოვნით (არ ამყლავებდნენ გამოყენებული მომწამლებელი აირის სახეობას). შიმშილობის აქციებს მსოფლიო საზოგადოების გამოხმაურება მოჰყვა და კრემლი იძულებული გახდა პოლიტპატიმრები გაეთავისუფლებინა.

გურიიდან 9 აპრილს ლიხაურელი ნინო თოიძე და ხდისთაველი ნატო გიორგაძე დაიღუპნენ. დაღუპულთა ოჯახებს ათასობით თანამემკვიდრე თანაგრძნობდა.

პროფესორმა გიზო ჭვლიძემ თანასოფელს ნინო თოიძის ხსოვნას ლექსი მოუძღვნა „დღეს შენს სახელზე სანთლებს ანთებენ“.

„ცრემლით ვიტვირო ისე მომინდა, რომ არაფრის არ მაქვს რიდი, შენ პირველი ხარ ჩემი სოფლიდან, ასე პატარა და ასე დიდი.“

სხვადასხვა დღეს დაკრძალეს 9 აპრილს დაღუპულები. ნინო თოიძის დაკრძალვაზე ჩამოვიდა მთელი ჩოხატაურის რაიონი, თითქმის მთელი სამეგრელო. შემდეგ ასევე დაიტირეს ნატო გიორგაძე, ხოლო სამეგრელოში აზა ადამიას დაკრძალვაზე გურიიდან ჩასულ სამელო-ვიარო პროცესიას, ზღვა თავიულებითა და ეროვნული დროშებით დასასრული არ ჰქონდა.

ძალე შეიქმნა ნინო თოიძის სახელო-

ბის საქველმოქმედო საზოგადოება, რომელსაც ნინოს ბიძაშვილი, აწ გარდაცვლილი ზურაბ ვამყამძე ჩაუდგა სათავეში. საზოგადოებამ თავიდანვე მიზნად დაისახა ეკლესიისადმი თანადგომა, ქველმოქმედება და საგანმანათლებლო მუშაობა.

1989 წლის 13 ოქტომბერს, ბორითთან დაიღუპა მერაბ კოსტავა, რომლის დაკრძალვაზე სრულიად საქართველო ჩავიდა თბილისში. სიონის ტაძარში შავ სამკაურებიანი ოზურგეთელებიც მიაგებდნენ პატივს სამშობლოსათვის თავგანწირული ეროვნული გმირის ხსოვნას. მთაწმინისაკენ მიმავალი პროცესია რამდენიმე კილომეტრზე იყო გაკვირული...

მასის 9 აპრილიდან ერთი წლისათვის აღნიშნას ვეგემადით. ზურაბ ვამყამძე და ამ სტრიქონების ავტორი ქ. თბილისში, სიონის ტაძართან ახლოს მდებარე რეზინდევიაში სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქს ილია მეორეს შევხდით. პატრიარქმა მოგვისმინა, შემდეგ ტაო-კლარჯეთში მოგზაურობაზე გვესაუბრა და დაგვირდა მღვდელს გამოავანებდა ლიხაურის ეკლესიაში.

აპრილის დასაწყისში ლიხაურში მღვდელი მამა გურამი (ამჟამად მუყევი გრიგოლი) ჩამოვიდა. იმავე დღეებში პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გაზეთ „ლეხორის“ გამოშვება დაიწყო.

გაზეთი „ლეხორი“ (რედაქტორები გიზო ჭვლიძე, ნუგზარ ასათიანი) ერთ-ერთი პოპულარული გამოცემა გახდა, რომელიც 5 ათასიანი ტირაჟით იბეჭდებოდა. გაზეთის გაყიდვით მიღებულ შემოსავლებს ნინო თოიძის საზოგადოება ქველმოქმედებისთვის იყენებდა. უპირველესი ეკლესიისადმი თანადგომა იყო.

უნდა აღვნიშნო, რომ გაზეთ „ლეხორის“ მუშაობაში გიზო ჭვლიძის მთელი ოჯახი იყო ჩართული; მუქედუ-

პროფესორი ნათელა ჭანჭიკაძე აუბი, შემდგომში პროფესორები ლადო და ელიშერ ჭვლიძეები.

ლიხაურის ეკლესია შემოქმედის ტაძრის შემდეგ (იქ მამა ნიკოლოზი (დლონტი) მოღვაწეობდა) გახდა ის ადგილი, სადაც არა მარტო წირვა-ლოცვა აღევლინებოდა, არამედ ეროვნული ცნობიერების გაძლიერება ხდებოდა. მამა გურამი ამბობდა, რომ „არავის არ აქვს უფლება წართვას ადამიანს ის, რაც ღვთისაგან აქვს ნაბოძები – თავისუფალი ნება და აძლენად სავსებით გამართლებულია ცალკეული ადამიანებისა თუ მთლიან ერის ბრძოლა დაკარგული თავისუფლების დასაბრუნებლად. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანების სულიერ მდგომარეობას.“

მამა გურამი იყო არა მარტო სულიერი მოძღვარი, მეგობარი და მრჩეველი იყო, არამედ მისი დამსახურებაა ის კარგი საქმეები, რასაც ნინო თოიძის საზოგადოება არა მარტო ლიხაურში ახორციელებდა.

საქართველოში მიმდინარეობდა მზადება პირველი მრავალპარტიული არჩევნებისთვის. გაზეთის რესპონდენტები არაერთი პოლიტიკური ლიდერი იყო, ამჯერად გადაწყვეტიტე ზვიად გამსახურდიას შევხვდნოდით.

1990 წლის აგვისტო არა მარტო ბუნებით, პოლიტიკურადც ცხელი იყო. აქცია აქციაზე მიმდინარეობდა. შეწყვეტილი იყო სარკინიგზო მიმოსვლა სამტრედიის სარკინიგზო კვანძზე. „მრავალი მაგიდა – დამოუკიდებელი საქართველო“ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ითხოვდა. ზვიად გამსახურდიასთან ინტერვიუ ჩაიწერეთ და გამოაქვეყნეთ.

გაზეთი ზვიადს მიუტანეს. ამ ნომერში გარდა მასთან ინტერვიუსა, ისტორიკოს ენვერ გოგუაძის ვრცელი სტატციაც იყო დაბეჭდილი, რომელიც გურამში 1923 წლის რეპრესიების და გოგია დლონტის მიერ ბოლშევიკების სტრატეგისა და ობოლადის მკვლელობას ეხებოდა.

ზვიად გამსახურდიამ ოზურგეთში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე განაცხადა, რომ ოზურგეთში გოგია დლონტის ძეგლს დადგამდნენ...

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში „მრავალმა მაგიდამ“ გაიმარჯვა. 14 ნოემბერს ჩატარდა პირველი სესია, სადაც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია აირჩიეს.

1991 წლის 31 მარტს ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტად აირჩიეს, ხოლო 9 აპრილის 2 წლისთავზე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღეს.

ნინო თოიძის საზოგადოების გეგმაში

იყო სოფელ ლიხაურის დასაწყისში, იქ სადაც გოგია დლონტმა ბოლშევიკების სატრაბი ობოლადე მოკლა და შემდეგ ბოლშევიკებმა შურისძიების მიზნით ათეულობით გლეხი და პედაგოგი დახვრიტეს, შემოღობილიყო და მემორიალური ძეგლი დადგმულიყო. შემდეგ ამას გოგია დლონტის საზოგადოება აპირებდა, წიგნიც გამოსცა, მაგრამ 1991-1992 წლის დეკემბერ-იანვრის მოვლენებმა ყველა გეგმა დაამსხვრია...

1991 წლის 22 დეკემბერს ამ სტრიქონების ავტორმა და გოგია დლონტის საზოგადოების თავმჯდომარე ომარ ქართველიშვილმა გამოცემეს „სამშობლოში“ 50 ათასი ცალი 1992 წლის კალენდარი მივიღეთ, რომელიც გოგია დლონტის საზოგადოებამ გამოსცა. კალენდარი რუსთაველის გამზირზე მდებარე ფოსტის შენობაში „სოუზპეჩატში“ ჩავაბარეთ.

შენობის მეხუთე სართულიდან კარგად ჩანდა მძიმეწონიანი მანქანებით გადახურებული რუსთაველი, ბარაკების ორივე მხარე. მიუხედავად ამისა, ვერ წარმოვედგინა მასთან ომი გაჩაღებოდა. ოზურგეთში საღამოს ჩამოვიდით... გვიოხრეს, რომ თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყო... ფოსტის შენობა დაიწვა...

1992 წლის 6 იანვარს, შუადღისას გაზეთ „ალიონის“ რედაქტორს თამაზ სალუქვაძეს დაურეკეს და აცნობეს, ოზურგეთში შეიარაღებული ხალხი იყო შემოსული. ბატონ თამაზთან ერთად წავიდით ოზურგეთის კინოთეატრის გვერდით მდებარე ფოსტის ყოფილ შენობაში აქ დიდ ოთახში შეიარაღებული ადამიანები და შემოთხოებული ოზურგეთელები იყვნენ შეკრებილი, მსჯელობდნენ როგორ მოქცეულიყვნენ. ოზურგეთელების ერთმა ჯგუფმა ურჩიეს

შეიარაღებულებს ოზურგეთის პრეფექტს პაატა თოიძეს დალაპარაკებოდნენ... ოზურგეთელებმა სამი ადამიანი დასახელებეს: აკაკი დლოიძე, ბიძინა დარჩია და ამ სტრიქონების ავტორი.

პაატა თოიძე კარგი ოჯახშიშვილი, განათლებული ადამიანი და უნარიანი ხელმძღვანელი იყო. . სამუშაო კაბინეტში შევხვდით. აუზნებით მდგომარეობა და ვთხოვეთ ეთქვა, რა გეგმა ჰქონდა იმისათვის, ოზურგეთში ტრაგედია არ დატრიალებულიყო.

მას გარკვეული გეგმა ჰქონდა, რასაც ჩვენც ვეზიარებდით...

შემდეგ პაატა თოიძის კაბინეტში აღვლევდით თანამშრომელი შემოვიდა... შემდეგ 15-მდე თანამებრძოლი. უმართავი სიტუაცია დაიწყო... ამ დროს შემოვეშველა ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას თანამებრძოლი და მეგობარი მამა ნიკოლოზი, რომელმაც სიტუაცია განხუჭა. ...

პაატა თოიძის გეგმა მიიღეს და ოზურგეთი გადაურჩა მოსალოდნელ შეიარაღებულ ინციდენტს... დაიწყო „დიდი ღამე“... ეროვნული მოძრაობის ბევრი წევრი დაიღუპა აფხაზეთის ომში თუ უომრად, გადაიხვეწა უცხოეთში...

ისტორია თანდათან აფასებს მოვლენებს. ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ნაწილი ადამიანების ეროვნული ღირებულების ერთგული დარჩა. ისინი ყოველწლიურად იკრიბებიან 9 აპრილს დაღუპული გმირების საფლავებთან, ნიშნად იმისა, რომ სამშობლო და თავისუფლება ის ფასეულობებია, რომლის შეცვლა არაფერს არ ძალუძს.

ნუგზარ ასათიანი



ნინო თოიძის შიმობლები: შუქრი და ჟუჟუნა თოიძეები

9 აპრილი – დღე ტრაგედიისა და დამოუკიდებლობისა

მარი კოპოვიძი

„30 წელი გავიდა საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე მძიმე დღის შემდეგ. სამი ათეული წელია გვტკივა და თან ვამაყობთ ერთგულების, ერთსულოვნების, ქვეყნის სიყვარულისთვის გამოჩენილი ღირსების გამო. ტრაგედიის და ამავე დროს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, 9 აპრილი კვლავაც ძლიერ ემოციებს იწვევს. განსაკუთრებით მათში, ვინც უშუალოდ იყო ჩართული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. „როცა კორიდორი გაკეთდა და რუსეთის ჯარი შემოვიდა იმის ნაცვლად რომ სამშობლო გვეკრძოლო აღფრთოვანებულნი ვიყავით. თავს ბედნიერად ვგრძნობდით იმიტომ, რომ რუსის ჯარი შემოვიდა და მე მას ვხვდებოდი ტაშით, მე არაფრის მემინდა“ – გვიყვება ლელა

ქინქლაძე, რომელიც პროტესტს თავიდანვე შეუერთდა და ბოლო წუთამდე, ტრაგიკულ დასასრულამდე მოვლენების ეპიცენტრში იყო. ყოველ წუთს ისეთი სიზუსტით, განცდით იხსენებს ადვილად შეიძლება იგრძნო მამინდელი მუსტი.

„ჩვენს თაობას დაკარგულ თაობას ეძახიან არ ქონიათ ია ვარდებით მოყვნილი გზა მათ შორის არც მე, მაგრამ იმით ვარ უბედნიერესი, რომ მოვესწარი დიდ ეროვნულ მოძრაობას ზვიადსა და მერაბს. ძალიან ბევრი რამის გახსენება შემიძლია მათთან დაკავშირებით. ბედნიერი ადამიანი ვარ იმის გამო რომ ზვიად გამსახურდიას საჯარო ლექციები მომისმენია რუსთაველის სახელობის მუზეუმში. კიდევ იმით ვარ რომ ერთად მინახავს ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას. როგორ

უფრთხილდებოდნენ ისინი ერთმანეთს როგორ უყვარდათ და აღმერთებდნენ საქართველოს და ქართველ ხალხს. კიდევ ათასი ქართველი რომ გადამხდეს თავს მანც ვიტყვი რომ ძალიან, ძალიან ბედნიერი ადამიანი ვარ.“

მამინ სულ 19 წლის იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. როგორც ვიცით 9 აპრილის მოვლენების მთავარი მამოძრავებელი ძალა სწორედ სტუდენტები იყო. მათ შორის გამოჩრეულად აქტიური ლელა ქინქლაძე.

ლელა ქინქლაძე: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მოვესწინებთ უნივერსიტეტი ეროვნული ბრძოლის ეპიცენტრი იყო. ამიტომ ბრძო-

ლაში ჩვენ ფაქტობრივად პირველივე დღეებიდან ვიყავით ჩართული. 9 აპრილამდე იყო ნოემბრის აქციები, გარეჯის დასაცავად გამართული აქციები. ამ ყველაფერში დიდი როლი ითამაშეს მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ. ხშირად მოდიოდნენ უნივერსიტეტში, ხვდებოდნენ სტუდენტებს, ცდილობდნენ მათთვის აეხსნათ, რატომ უნდა ებრძოლათ რა იყო ბრძოლის მიზანი. მინდა ვთქვა რომ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ ლექციები გამცდარიყო. სტუდენტებს თხოვდნენ ლექციების მერე შეერთებოდნენ აქციებს.“

ამბობს რომ საფრთხე ვეროვნად



9 აპრილი – დღე ტრაგედიისა და დამოუკიდებლობისა

ვერ შეფასეს. ვერ გათვალეს რამდენად სასტიკი შეიძლება ყოფილიყო რუსული გაზრახვა „9 აპრილის დღისა ქალაქში დაძაბულობა იგრძნობოდა, ჩვენც დავინახეთ ეს მაგრამ ვერ გავიაზრეთ. ტანკებიც დავინახეთ, პატრიარქის გაფრთხილებაც მოვისმინეთ, მაგრამ მოვლენების ასეთ განვითარებას მაინც არ ველოდით. როცა ტრაგედიული მოვლენებიდან ორი საათი ადრე მივხვდით, რომ სამშრობო რეალური იყო ადამიანების მსხვერპლზე მაინც არ გვიფიქრია. ვფიქრობდით დაპატიმრებაზე, ცემაზე, მაგრამ უკან დახევა არც გვიფიქრია. შიში დავიწყებული გვექონდა. ბუნებრივად ფრთხილი და მშობარა გახლავართ, მაგრამ მეგონა რომ ჩვენ იმდენად წმინდა საქმეს ვაკეთებდით, ვერაფერი მოგვეჩვენა. გვეგონა ვერაფერს მოგვეჩვენა, რადგან ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი დავიცავდით ერთმანეთს, ვიყავით ერთ სულ და ერთ ხორც. მაშინ ახალგაზრდები ვიყავით ვარდისფერი სათვალთ ვუყურებდით ცხოვრებას. შემოღობვები იყვნენ უფროსი თაობის წარმომადგენლები. ჩვენმა ლექტორმა ბატონმა ლეო მენაბდე გვითხრა ბავშვები ძალიან წმინდა საქმისთვის იბრძვიან, მაგრამ მე არ მინდა განმეორდეს 9 მარტი ფრთხილად იყავითო. მეორე ლექტორმა მანანა ჩიტოშვილმა გვითხრა

პასპორტები წაიღეთ მეც თან მაქვსო.“ თავისუფლების მოედანზე მისულს განსაკუთრებული არაფერი შეუქმნევია. 9 აპრილის დღისა ჩვეულებრივი, არაფრით განსხვავებული იყო სხვებისგან. „იდილია იყო ირგვლივ. მოშიშვლები დადებითი ლექსები, მშვიდობა. ერთმანეთს გამხნევებდით. მერაბი და ზვიადიც ჩვენთან ერთად იდგნენ. 7-8 საათიდან როცა სწავლის და სამუშაო საათები დასრულდა უამრავი ადამიანი მოაწვდა მოედანთან. აქციაში პიკს მაღლვია. მოიტანეს წყალი, პლედები. ჩვეულებრივი საღამო იყო წინა საღამოებიდან არაფრით განსხვავებული. 10 საათისკენ დაიწყო საუბარი, რომ ახლოს არიან რუსის ტანკები. შემოვითება და შიში მაინც არავის უტყობოდა. ყველას გვეგონა, რომ იმ დღეს რაღაც დიდი უნდა მომხდარიყო. იმ დღეს უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს ბედი. მაგრამ რა თქმა უნდა, ეს, შეცდომა იყო ჩვენი მხრიდან. სხვათაშორის ლიდერები ამას არ უწყობდნენ ხელს, პირიქით. მასხოვს შეკამათება ზვიად გამსახურდიას და ირაკლი წერეთელს შორის. ირაკლი წერეთელი ცდილობდა სიტუაციის გამწვავებას. ზვიადი ეუბნებოდა, იქნება არ გააძაწვავთ სიტუაციასო. ირაკლიმ მაშინ ზვიადს მშობარა უწოდა. ამის შემდეგ თვითონ დაიწყო აქტიურობა. მოუხდევად

იმისა რომ ირაკლი წერეთლის მიმართ მე ამგვარად არ ვარ განწყობილი მაშინ მან შეძლო მუხტის შენარჩუნება. მას შეეძლო მასების აყოლიება. მან იმ დღეს მიტინგის სათავეები აიღო ხელში და მისი განწყობა გადმოგვადო ჩვენც. იმ დღეს პატრიარქის სიტყვასაც არ დაურჩა ფასი იმდენად ალტყინებული და ბრძოლის ყინით ანთებული ვიყავით. პირადად მეც პატრიარქის სიტყვები ცოტა არ იყოს შეწყვიანა. გულში შიშმა გამკრა ვაი თუ ეს ხალხი დაიშალოს მეთქი. მერაბი და ზვიადი ძალიან შეწუხებულები იყვნენ. ხშირად ლიდერებს აბრაღიან მსხვერპლს, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ვერ გათვალეთ ეს საფრთხე, როცა კორიღორი გაკეთდა და რუსეთის ვარი შემოვიდა იმის ნაცვლად რომ სამშრობო გვეგონო ადფრთვანებულები ვიყავითო. თავს ბედნიერად ვგრძობდით იმიტომ რომ რუსის ვარი შემოვიდა და მე მას ვხვდები ტაშით მე არაფრის არ მეშინოდა. გვეგონა ჩვენ მხარეს თუ არ გადმოვიდოდნენ, იგრძნობდნენ მაინც რომ ჩვენი საქმე წმინდა იყო. ჩემი აზრით ამ სულისკვეთებას მოყვა ამდენი მსხვერპლი. გვეგონა სახილვებით ყვავილებით, სიმღერით, ტაშით მათ გულს გავათბობდით მაგრამ თურმე ისინი სპეციალურად გამოწვრთნილი უმთვრლო რობოტები ყოფილან. ზვიადის სიტყვები მასხნდებდა ისინი ტყვიებს გვესვრიან ჩვენ ყვავილები ვესროლითო- ასეთი რომანტიზმი იყო მაშინ.“

ლელა ქინქლაძე ამბობს რომ დღეს ზვიად გამსახურდას დეაწულს სათანადოდ არ მოიხსენიება „ძალიან დიდ უსამართლობად მიმაჩნია რომ 9 აპრილს არ ასხენებენ ზვიად გამსახურდას და მის დეაწულს. სწორედ 9 აპრილს, რეფერენდუმის საფუძველზე მან გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა.“

მარიონელი მოძრაობის ფემინი, დამოუკიდებლობის მოძრაობის მხარდობის აქტიური მხარდობილია გელა ბოლქვაძე. „7 აპრილს წავედით მეგობრები ოზურგეთიდან და შევეუბრით აქციას. რვა აპრილს საღამოს დაგვრდით ოზურგეთში, რომ



დანარჩენი მეგობრებიც შეგროვილიყვნენ და ერთად წავსულიყავით უკან, ისევ შევეუბრით მომიტინგეებს. სწორედ ამ პერიოდში მოხდა ის, რაც მოხდა. მოვლენების დრამატულად განვითარების შესახებ ვაზამი შევიტყვეთ. შემდეგ ოზურგეთში მოეწყო საინფორმაციო მსვლელობა-მიტინგი ოზურგეთის ცენტრიდან შემოქმედის ეკლესიაში. სადაც მამა ნიკოლოზმა პარაკლისი გადაიხადა.“

მაშინდელ განცდებზე გვიყვება. ამბობს რომ მსგავსი ენთუზიაზმი იშვიათად ვაწვდია. „იყო შესაძური ენთუზიაზმი, თუკი რამე შეიძლება ქართველმა კაცმა გამოავლინოს სამშობლოს სიყვარულისთვის. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და მსგავსი სიხარული და ენთუზიაზმი სამშობლოს სიყვარულისთვის პირველად განვიცადე. შთამბეჭდავი იყო ერთ მუშტად შეკრული საზოგადოების ნახვა, რომელსაც სურდა საქართველო ყოფილიყო თავისუფალი. ეს იყო ჩემი ცხოვრების უდიდესი განცდა.“ გვიყვება ბატონი გელა.

გელა ბოლქვაძე: მოვლენების ასეთ განვითარებას არავინ ელოდა. თუმცა 9 აპრილს დადგარი სისხლი სტიმული გახდა ეროვნული მოძრაობის და დიდი ბრძოლის საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, რომელიც დღემდე გრძელდება.

მეგობრებთან ერთად მაშინ აკრძალულ ლიტერატურას კითხულობდა. ყოველ ფრაზას განიხილავდნენ და უღრმად ეძებდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობაზე მსჯელობდნენ ზვიად გამსახურდასა და მერაბ კოსტავასთან ერთად. „1985-86 წლებში ჩვენთან ჩამოდიოდა აკრძალული ლიტერატურა, „საქართველოს მოამბე“. ჩვენს მეგობრებთან ერთად ვკითხულობდით. იქედან ამოკითხული ყოველი ფრაზა იყო გულიდან ამოსული და გულთან მისატანი. 1988 წლის გაზაფხულზე მხვდა ბედნიერება და პირველად მოვხვდი „კოლხურ კომკიმი“ ბატონ ზვიადთან და მერაბ კოსტავასთან ერთად. მასხოვს, ვიჯექით ბატონი კონსტანტინე გამსახურდას დარგული კაკლის ქვეშ და ვამბობდით რომ ბრძოლა აუცილებელი იყო დამოუკიდებლობისთვის. ბატონ ზვიადს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ოზურგეთელებთან. ჩვენც, ოზურგეთელებიც მომართულები ვიყავით რომ ჩვენს ქვეყანას გვერდით დავდგომოდით. ამ ბრძოლაში ოზურგეთიდან იყვნენ თემურ საჯავაი, ვახტანგ მამიშვილი, ზურ კოსტავა, რეზო ვაში, ვიტალი ვაში, სოსო ინწკირველი, ჯონი დოლიძე, თემური და თეზიკო როსტომიანები, გურამ რამიშვილი კიდევ სხვები, რომელი ერთი დავასახელო.“



მოვლენა, რომელიც თავისუფლების აქტით დაგვირგვინდა

ის ისტორიული მოვლენა, რომელიც გასული საუკუნის 80-90-იან წლებში წლებში მიმდინარეობდა, უდიდესი ალტყინება გამოიწვია უამრავი ადამიანის გულში. ამ წლებმა იმ დროისათვის დიდი მეტამორფოზა მოახდინა ქართული სულის ფორმირებაში, რაც შემდეგში თავისუფლების აქტით დაგვირგვინდა. თავისთავად ეს სანატრელი მოვლენა დიდი გარღვევა იყო იმ პერიოდში პოსტსტატუსთა სივრცეში და კიდევ უფრო მეტად ქართული მენტალობის ფორმირებისათვის, – მას ეროვნული მოძრაობა ერქვა. ეს მოძრაობა იყო არა მხოლოდ იდეების და ემოციების, არამედ ხალხის მართლაც და ფიზიკური მოძრაობა მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა რეგიონში იყო ერთიანობის და სისრულის შეგრძნება, რომელიც ხასიათდებოდა დიდი ქარიზმატულობით, რწმენითა და იმედებით.

ამ პერიოდში მე 29-30 წლის ვახლდით, საბჭოთა არმიის საკლდეულო სამსახურიდან ახალ ჩამოსული ვიყავი. გვიან მომიწია ვაწვევა, რადგანაც ჩემს სტუდენტობის პერიოდს დაემთხვა ის ტრაგიკული მოვლენა, რომელიც ცნობილი იყო მაშინ ახალგაზრდების თვითმფრინავის საზღვარგარეთ გატაცების მცდელობით, მათ შორის იყვნენ სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, რის გამოც სამხატვრო აკადემიას მოუხსნეს ვარიდან გათავისუფლების ვაგმანი და ამიტომ მეც, აკადემიის დამთავრების შემდეგ, წელაწად

ნახევარი ვიხდიდი საკლდეულო სამსახურის ხარკს (ჯარის პირველი პერიოდი პაუზატებში მაქვს განატარები თუნდაც იმის გამო, რომ მე ვატარებდი გულზე ჯვარს და ვაზროვნებდი არასაბჭოურად). გულში დაგროვილი მქონდა მამინდელი კომუნისტური სისტემისათვის დამასიათებელი, კორუფციის, ქაღალდომანის, ცრუ ღოზუნებისა თუ იდეოლოგიის და ათეიზმის მიმართ პირადი უარყოფითი განცდა და აგრესიაც კი (პირველი მიტინგს, რომელიც თბილისში, იპოდრომზე ჩატარდა, ვესწრებოდი, როგორც საბჭოთა რიგებიდან გამოპარული ჯარისკაცი). დავისხენი თავი თუ არა „ჯარის მარწუხებთან“ გადავწყვიტე სანატრელ მოძრაობაში, რომელიც „ეროვნული მოძრაობით“ იყო ცნობილი.

ყველაფერი დაიწყო ვერ ილია მართლის ნაშრომების შესწავლის და ქაქუცა ჩილოყაშვილის პიროვნების აღმოჩენით, შემდეგში კი ექვთიმე თყაიშვილის საზოგადოების ჩამოყალიბებით, მაგრამ ყველაფერი ეს ვერ იდგის და მსჯელობის, კამათის ფონზე და ფარგლებში ეწ. იატაკქვეშეთში მიმდინარეობდა მაშინდელი მადაროთა სამმართველოს მხატვართა სახელოსნოში, სადაც ამ დროისათვის მუშაობდნენ მხატვრები: ვახტანგ მამიშვილი, რეზო ვაში, ვეგელ მიმინოშვილი, ბაგრატ ჭკუასელი, ვასო მჟავანაძე. აქვე დადიოდნენ ახალგაზრდებიც დავით შალიკაშვილი, ვახო თოხაძე (მაკეანეთის ტაძრის მოძღვარი მამა ვახ-



ფარებით აღჭურვილი სამხედრო ჯაჭვი, ამ ძალისხმევამ ალბად იხსნა სიკვდილისაგან 100-მდე ადამიანი. – ყვებოდა დავით შალიკაშვილი. იმდენად დიდი წყნხი იყო, რომ ფაქტურად ფეხები მიწაზე აღარ გვექონდა და ხალხის მასას არ შესწევდა უნარი გადასაადგილებლად ეს გასაქცევად. სამხედროები ხალხს უსწორდებოდნენ. ამ დროს დავინახე, რომ პატრიარქი და მისი თანხმლები პირები იდგნენ რკალში ზემოთ და ვერ გადადიოდნენ სამშვიდობოს, რადაცნაირად, ლეთაბრივი ძალით რამდენიმე ვეგუმს დავისახეთ მიზნად პატრიარქისკენ წინსვლა და მისი დაცვა. ძლივს მივაღწიეთ პატრიარქამდე, შეგვკარით ხორუმივით

რკალი მის ირგვლივ. ასეთი მეთოდით, ჩვენთან ერთად, მოძრაობდა ისიც და ამ რავბისტების ხის ტოტითა და ტროტუარის მოკირწყლული ქვების სროლით ვიკვლევდით გზას. როდესაც მივაღწიეთ პარლამენტის გვერდით მყოფ ქუჩებს, იქ დავხვდა ქართული პოლიცია, რომელიც თავგანწირულად იბრძოდა ხალხის დასაცავად. იქვე იდგა სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებიც. ასე ვავეცალეთ იქაურობას.

მერაბ კაციაძე კი ყვებოდა, რომ როცა თავი დავაღწიეთ პარლამენტის

მოვლენა, რომელიც თავისუფლების აქტით დაგვირგვინდა



წინამდებარე ტერიტორიას და ქაშუეთთან აღმოეჩინა, ვგუფ-ვგუფად დაგვდევდა საბჭოთა ჯარის შენაერთები და იმდენად დაბურული იყო მომწამლებელი გაზით არ-ემარე, ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ჩვენს მიღმა ხალხი იხილებოდა. სურვილი გვქონდა, კვლავ დავბრუნებულყავით უკან მოედანზე და დაე-ხმარებოდით ხალხს. ამისთვის მივმართეთ ბრძოლის ინსტიტუტურ მეთოდს, ვიღებდით ხელში რაც მოგვხვდებოდა, ქვის ფილებს ვტყუდობდით და ვისროდით ჯარისკენ, მაგრამ ვინაიდან ამას ეფექტი ნაკლები ჰქონდა, დავიწყეთ ქვების ზემოთ, მაღლა სივრცეში სროლა, რაც პირდაპირ თავში და სახეში ხვდებოდათ ჯარისკაცებს და პარალიზებულები იყვნენ. ალბათ, ბევრი ჯარისკაცი იქნებოდა ამის შედეგად დაზარალებული, ჩვენ კი იმდენად მოწამლულები ვიყავით, რომ სუნთქვა გვიჭირდა და წარმოვიდგენა, ვინც გადაურჩა ჩვენს და სიკვდილს იმ დღეს საკარაუდოდ არც ერთი ჯანმრთელი არ იქნება დღემდე.

ასე ამგვარად იბრძოდა თითოეული მოქალაქე მამინ და მორე დღეს გახდა ცნობილი, თუ რა ტრაგედია დატრიალდა რუსთაველის პროსპექტზე.

მთავარი ამ მოძრაობაში ის გახლდათ, რომ მოხდა ხალხის იდეური და სულიერი გაღვივება, გამოცოცხლება „სალათას ძილიდან“, იგრძნობდა გარდატეხილი სიყვარული მოყვასისა და სამშობლოს მიმართ, განურჩევლად ასაკისა, სქესისა და სოციალური წარმომავლობისა, ყველანი ერთიანად, იმდენად და გულწრფელი აღტკინებით ვიყავით დამუხტულნი, აქ იყო თავგანწირვის გენეტიკური და დაუოკებელი, შეუპოვარი სული, თუ ვინააუთ ჟინიც კი, ერთი მხრივ, ეს იყო სულიერი ღირებულებების გამოვლინება და მეორეს მხრივ, – სახელმწიფოებრივობის ისტორიული მასსოვრობის კვლავ აღტკინება, რომელიც სწორედ რომ ქრისტესმძებრ შვილობას ეკადრებოდა. ეს განცდა რეალური და ხელშეუსახე-ბი იყო მამინ. ეს ენერგია თითქოსდა დაფარულში იყო და ახლა გადმოხეთქა და მთელი უწყვეტი ნაკადით მოედინებოდა.

ამ პერიოდზე ითქმის სწორედ ეს ფრაზები „ამ დღეს ველოდი, მოვესწარ, ვიცინი აღარ ვსტირი მე“. ეროვნული ენერგია, რომლითაც თითქოსდა გააფენ-თილი იყო ქართული ზეცაც, იმ ხანად იყო ასე და, სამწუხაროდ, ნელ-ნელა,

თანდათანობით კვლავ მიიქმალა, დაკინ-და. ამაში კი მამინე დიდი როლი ითამ-ამა მამინდელმა უმისრობამ „კაკებემ“, რომელიც ყოველმხრივ ეცადა გვემა-ზომიერად, თანდათანობით შეერყვნა, გაე-ბაბურებინა ამ იდეების და მიზნების მნი-შვნელობა, „გათიშე და იბატონეს“ პრი-ნციპით მოქმედებდა, რაზედაც პრო-ვოკაციულად, სამწუხაროდ, ბევრიც წამ-ოეგო და საბოლოოდ იმდენი მოახერხა, რომ დიდი დასავა მოძრაობას. ბოლომდე აკონტროლა იგი.

კვლავაც თითოეული ვაჟკაცის პიროვნულმა აქტივობამ, თავგანწირვამ და განსაკუთრებით კი 9 აპრილის ტრაგედი-ამ, ზეარაკად შეწირული გმირების ხარ-ჯზე, რომ იტყვიან, „სამართალმა მამინც პური ჰკამა“ და ჩვენს მრავალ საუკუნო-ვან ტანჯულ სამშობლოს სიხარულის სხივი გამოუჩინა, მან ისტორიის მესხიერებაში აღადგინა თავისუფლების ილიასული სურნელი და ქართველმა ერმა მამინ მიზანს მიადწია, სამშობლომ მამინც გაიმარჯვა. გახდა რა დე თურე თავისუფალი დამოუკიდებელი ქვეყანა, ერმა „სალათას ძილისაგან“ როგორც იქნა თავი დააღწია და გამოიღვიძა, უფალს თვალი გაუხსნო.

მაგრამ, სამწუხაროდ, მალევე მეორე გვერდზე გადაბრუნდა და კვლავ ძილს მიეცა. ამ დროისათვის ყველა გამოკე-თილი ლიდერი საიქიოს გაისტუმრეს და დარჩა ერთი მოუშხადებელი და იმდგაც-რუბული, რასაც თან დაემატა გამოუცდე-ლობა, გულგრილობა, ნიპილიზმი და საბოლოო ჯამში სახეზე მივიღეთ დაქსაქ-სულობა, შემინებული და იმდგაცრუბუ-ლი ხალხი და სამათხოვროდ ხელგა-წვდილი ქვეყანა!

ლოზუნები, ათიზმი, ქალაქდომანია, არასახელმწიფოებრივი აზროვნება, მდერ-ოვობა და გულგრილობა დაგვიბრუნდა ბუქმარხად უკან. ლიბერალიზმი და გა-რყვნილება მთელი სიმბლავით ამუშავდა, შედეგად კი მივიღეთ სულიერ-მორალური

დევრადცა. ამასობაში ადამიანებს მატერი-ალური პრობლემებზე ფიქრობ, მამბლური პოლიტიკით, ნიპილიზმის ქადაგებით, ტვინიტი გამოურეცხეს და მას რევრესის მაგივრად პროგრესი შეარქვეს.

ასე აღმოეჩინა ამ უფსკრულის პირას და ერთი ხელისდა კვრა გვე-ირდება, რომ შიგ გადავეშვათ დედა ბუდი-ანად და ორბიც კი ვერ დასწვდება ჩვენს სულს, იმდენად ღრმაა ეს გლობალიზაცი-ის ორბო, აპოკალიპსური პროვოკაცია.

როგორი დიდი დასავა პიროვნების მენტალობებმა სახელმწიფოებრივ სხეუ-ლს, მის შიგთავსს. ათწლეულები დაიკარ-გა პატარა კაცობის გამო.

განსაკუთრებით ახალგაზრდებში ახ-ლაც საჭიროა, თავისუფლების მნიშვნე-ლობის სწორი გაგებით ქადაგება, ჭეშ-მარტივი ზნეობრივი მაგალითების ჩვენება, პიროვნული ძალისხმევები, მაგრამ მძე-ინვარებს ლიბერალური მორალიზმი და ყველა აქცია თუ მოვლენა ნიპილიზმით ხასიათდება, მოხდა ფასეულობათა გად-აფასება, ეს კი ყველაზე დიდი ტკივილის შემცველია ტკივილითა შორის.

ახალ საქართველოს ახალი ძალები სჭირდება. ილია მართალმა საუკუნის წინათ დაგვისასა და გვიტხრა თანამ-ედროვე საქართველოს მოქალაქის სულ-ისკვეთების ზნეობრივი პოზიცია, სადაც ის ამბობს, რომ სისხლის ღვრა და ხმლის ქნევა ოფლის ღვრითა და განათლებით, პროფესიული უნარჩვევებით უნდა ჩანა-ცვლდეს, ხმალი თაროზედ შემოდეთო და წივით და ცოდნით შემოსული მტერი თან გავეტანასო და დაგვამარცხებსო... არა ურატაროტიზმი, არა ემოციები, ლოზუნებებით ფონს ვერ გავალოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე მამინც ასე გრძელდება!


სულმა სული უნდა გაზარდოს! დედ-ებითი ისტორიული მაგალითების გახს-ნება გვეჭირდება, აქვე გავისხნეთ უახ-ლოეს პერიოდში არსებული პიროვნული ძალისხმევები, ეროვნული სულისკვეთების

მოტივაციით თავგანწირვის მაგალითები, რაც მამინც გვაფიქრებინებს, რომ „სალ-ათას ძილში“ აღარ ვიქნებით და უფალი გველაპარაკება მათი სინდისით.

სამწუხაროა ის, რომ ადამიანები პირ-ოვნული პრობლემების და მატერიალური აზროვნების ანაბრა დატოვეს, მტერი კი სისხლით და ოფლით მოპოვებულს კვლ-ავაც ვაოუტად ეპოტინება და ლამობს, ქვეყანას, რომელსაც საქართველო ჰქვია, ე. ი. ადგილი ქართველთა. თურმე ჩვენ არ შეგვძლება ღმერთის გამო, სამშობლოს გამო, თუნდაც ხალხის ხათრის გამო, გავერთიანდეთ, ვუერთგულოთ ღირებუ-ლებებს. ის სტატეგია განიცდის, ერო-ვნული ფასეულობანი დასაცინი და აბუ-ჩად ასავლები გახადეს, ადამიანების სულ-ებში მდღროვეობისა და ლიბერალიზმის სული პარაპსებს, ის, რაც სახეზეა. დღეს განსხვავებით იმ კომუნისტური სისტე-მისა, რაც მამინ იყო, დიდად აღარ განსხ-ვავდება, ვეულისხმობ არა სახელმწიფოე-ბრივ აზროვნებას, ძველი ხელისუფლების რეგანმისტობას, ჩასაფრებულობისა და ძალაუფლებისა და ჩინოვნიკობის დაუ-კებელ წყურვლს, თავმდალობისა და ღირსების დევიციტი მოაქვს. თუ ასე გავრძელდება, მას შეიძლება ახალი 9 აპრილი მოჰყვეს, მაგრამ განსხვავება ის იქნება, რომ ეს მოძრაობა თავის თავში ვე-ღარ მოძებნის სიყვარულისა და თავგანწირვის, მსხვერპლად დაღების სულს და იგი შეიძლება, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ დამანგრეველი აღმოჩნდეს საქართველოსათვის, რადგანაც ერთი ადენ პოლარიზებას ვერ გაუძლებს. როგორც ვხვდებით, ქართველებმა შეცდომების უღრან ტყეში შეტოპეს და მხოლოდ მარტო ზენა ძალების იმედად ვართ! მაგრამ, როგორც ილია მართალი ბრძანებდა, „რა ქნას ღვთის წყალობამ თუ კაცმაც არ უწყალობა მის ნაწყალობებსო“. უფალს ვებარებოდეთ!

აშთანდილ მთავართქილაძე,
მსატყარი.

სამაგულო ომში დაღუპული მამის უნახავი შვილი 77 წლისაა



დღეს ერთ არაჩვეულებრივ კაცზე მინდა ვიამბოთ, ვინც საკმაოდ ცნობილია ოზურგეთელებისთვის, მაგრამ მამინც უნდა შეგახსნეთ რამდენიმე შტრიხი მისი ბიოგრაფიიდან.

ეს კაცი **მიხეილ მჭავანაძე** გახ-ლავთ, ყოფილი შრომის კოლმეურნეო-ბის მთავარი აგრონომი. იგი თავის უფროს მეგობრებთან – ლეგენდარულ მიხაკო ორაველიძესთან, გივი ხომე-რიკთან, რომან ცეცხლაძესთან, რევაზ

კვაჭანტირაძესთან, ტრისტან ქაღიშ-ვილიანთან, კარლო ჯაშთან ერთად წვეტ-ტადა სოფლის საჭირობოლო საკით-ხებს.

მიხეილ მჭავანაძე დაიბადა 1942 წლის 11 აპრილს შრომის საშუალო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის თინა ღლონტი-მჭავანაძის ოჯახში. მამა გერმანე მჭავანაძე იმ დროს იბრძოდა ჩრდილო კავკასიის ფრონტზე გერმა-

ნელი ოკუპანტების წინააღმდეგ. დედამ ქალბატონმა თინამ მის მეუღლეს სამი თვის პატარა ბიჭის ფოტოსურათით ახარა მათი შვილის დაბადება. მიხეილი შინ აგზავნიდა მხნეობით აღსავსე ბარ-ათებს, მაგრამ 1942 წლის ბოლო დღე-ებში ოჯახს, სამწუხაროდ, შეუწყდა ფრონტიდან გზავნილი სამკუთხა ბარ-ათები...

მიხეილი 1972 წელს, მამის საფლავის მოსანახულებლად ჩავიდა გროზნოში. სამხედრო კომისარიატის მუშაკებმა მიხეილი დიდი ყურადღებით მიიღეს და ყველა სამო სასაფლაო დაათვალიერებინეს. მამა სიმადლე იმოსკაის ადების დროს იქნა დაღუ-პული. განისვენებს ჩენეთში, გროზ-ნოსთან ახლოს, ძმათა სასაფლაოზე, სადაც აღმართულის მარმარილოს სვე-ტი წარწერით: „1942 წელს დაღუ-პული საბჭოთა მებრძობი.“

მიხეილი ბავშვობიდანვე იყო ჩამ-ბული საოჯახო საქმეებში, ყოველთვის იცოდა თავისი ადგილი. თავის მოვალე-ობას, ბავშვობიდან მოყოლებული, ყოველთვის პირნათლად ასრულებდა. არასოდეს სჭირდებოდა შეხსენება, როდის ესწავლა გაკვეთილები, როდის შეესრულებია ესა თუ ის დავალება. ყველაფერი ჰქონდა გათვლილი და ამიტომაც ბავშვობიდან გამოუმუშავდა დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები. ამიტომაც, მის საკარმიდამო ნაკვეთს რომ ათვალიერებ, თავი ედემის ბაღში

გვეგონება.

მიხეილ მჭავანაძემ 1964 წელს წარმატებით დაამთავრა სოხუმის სუბ-ტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი და მუშაობას დაიწყო შრომის კოლ-მეურნეობის ციტრუსების პავილიონში ტექნოლოგად. სხვადასხვა დროს მუშაობდა მეოთხე ბრიგადის აგრონომ-ბრიგადირად, კოლმეურნეობის აგროქიმ-იური ლაბორატორიის გამგედ, ციტ-რუსების დარგის აგრონომად. 1986 წლიდან კოლმეურნეობის მთავარი აგ-რონომია.

რაც შეეხება მიხეილ მჭავანაძის დიდებულ ოჯახს, იგი მან თანასოფელ სულიკო მამფორასთან ერთად შექმნა. მათ სამშობლოს სამი შესანიშნავი შვილი აღუზარდეს.: ლელამ გერმანიაში წარჩინებით დაამთავრა ქ. კელნის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის გერმანული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი; თინათინმა – ქ. ბადების სახელმწიფო უნივერსიტეტი; გერმანემ ბათუმის სახელობის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტი, ჰყავს მეუღლე რუსუდან ამისულაშვილი და ორი შვილი. გოგონები ამჟამად ცხოვრობენ გერმან-იაში, ჰყავთ ღირსეული მეუღლეები და შვილები.

სოფელ შრომას 88-წლიანი მეგო-ბრობა აკავშირებს მოძმე უკრაინის გენიჩესკის რაიონის სოფელ როვნ-ოსთან. დიდი სამამულო ომის წლებში სოფელ შრომაში იმუშებდნენ ომისაგან

მიყენებულ მძიმე ჭრილობებს. ერთ-ერთი პირველთაგანი იყო უმცროსი ლეიტენანტი ვასილ ივანეს ძე ლავრენ-ტიევი. ჩრდილო კავკასიის ფრონტზე 1943 წელს დაჭრილი ჩვენს სოფელში ჩამოვიდა და რამდენიმე თვე ცხოვრობ-და თინა ღლონტი-მჭავანაძის ოჯახში. მას ოჯახის დედა მელნიკი დედობრივ მზრუნველობას უწევდა. როდესაც გაიგო ლავრენტიევი მისი გარდაც-ვალება, გენიჩესკიდან ჩამოიტანა მარ-მარილოს ფილა, რომელსაც ასეთი შინაარსის წარწერა აქვს: „ჩემს ძვი-რფას დედობილს მელნიკი თევდორეს ასულს. ომის მძიმე წლებში თქვენი ჩემზე დედობრივი ზრუნვა, სიყვარული და აღერისი, ძვირფასო, საბუდამოდ დარჩება ჩემს ჯარისკაცულ გულში.“

უმცროსი ლეიტენანტი ვ. ი. ლავრენტიევი.“ ქალბატონ მელნიკი მჭავანაძის საგვარეულო სასაფლაოზე დადგმული ეს უნიკალური რელიქვია იმის დადას-ტურებაა, რადღენ სიყვარული და ძმობა გვაკავშირებს ქართველ და უკრაინელ ხალხებს წლების მანძილზე.

ჩემს უმცროს მეგობარსა და საყ-ვარულ მოსწავლეს 11 აპრილს უსრულდება 77 წელი. ვუსურვებ ჯა-ნმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და უღვე სიხარულს თავის ოჯახთან ერთად.

რომან ცეცხლაძე,
ჟურნალისტი, სოფელი შრომა.

კველი ოზურგეთის ქრონიკები

სამუელ ჩხიკვიშვილი-ჩაკლიშვილი-სიმონიშვილის სკოლის ოსტატი



ქართველი სასაზღვრო მოძღვრალი, გურული სა-
ლხური სიმღერების შესანიშნავი შემსრულებელი სა-
მუელ ჩხიკვიშვილი დაიბადა 1874 წელს სოფელ
დვამბურში. მამამისი თარხანი ჩოხატაურიდან წამო-
სულა და სოფელ დვამბურში დასახლებულა. სიმ-
ღერები მამამ თარხანმა ბიძამ ანტონმა შეასწავლა,
რომლებიც კარგი მოძღვრები ყოფილან. სწავ-
ლობდა ოზურგეთის სამოქალაქო ოთხკლასიან
სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავ-
ლა ადრე გაუგრძელდა. 17 წლის სამუელ მამამ
და ბიძამ ბაღდათში მაქსიმელიშვილის ოჯახში მი-
აბარეს, სადაც 3 წლის მანძილზე ხალხურ სიმ-
ღერებს სწავლობდა. მალე ვერაში გაიწვიეს, რომლის
დამთავრების შემდეგ ისევ დაბრუნდა მაქსიმ-
ელიშვილის ოჯახში.

სამუელ ჩხიკვიშვილი გაეცნო სამუელ ჩა-
კლიშვილს, რომელსაც მოეწონა ახალგაზრდა
„ღამწები“ და თავის გუნდში მიიწვია.

1921 წელს იგი მონაწილეობდა ვარლამ სიმ-
ონიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ გუნდში. სამუელ
ჩხიკვიშვილს არ ჰყოლია თავისი გუნდი, მაგრამ ჰყა-
ვდა ანამბლები, რომლებიც წარმატებით მოღვაწე-
ობდნენ.

1924 წელს სამუელ ჩხიკვიშვილმა ბათუმში
რკინისგზაში დაიწყო მუშაობა, აქ ჩამოვიდა ავსტრ-
იაში.

ტი მეგრული. მან სამუელს დაავალა გუნდის
შექმნა, შექმნა ათკაციანი გუნდი და კონცერტებს
მართავდა მუშებისათვის.

სამუელ ჩხიკვიშვილი კარგი „ღამწები“ ყოფი-
ლა და სამუელ ჩაკლიშვილის გადმოცემით ხშირად
ცვლიდა მას, ხოლო ორპირულ სიმღერებში ერთ მხა-
რეს ჩავლიშვილი მღეროდა, მეორე მხარეს-ჩხიკვი-
შვილი.

85 წლის ასაკშიც კი სამუელი ამბობდა: „მე-
ღებურად მყავს პატარა ვეფხვი, რომელთანაც ერ-
თად ვმღერი ხშირად“.

სამუელ ჩხიკვიშვილის შესახებ საიტერესო
ცნობები მოგვყავს ბატონმა **ვაჟა ახვლედიანმა**:
„მეოცე საუკუნის დასაწყისში გურიაში ბევრი ცნო-
ბილი მგალობელ მოძღვრები მოღვაწეობდნენ, მათ
შორის განვლდა სამუელ ჩხიკვიშვილი. მოძღვრულ
მგალობელთა ამ თაობას დიდი ღვაწლი მიუძღვით
გურიის მხარეში სასიმღერო ფოლკლორის
განვითარების საქმეში. სწორედ მათი უშუალო
ხელმძღვანელობით მრავალი ახალგაზრდა დაუ-
ფელა გურიის მხარისათვის დამახასიათებელ ხალხ-
ურ შეოქმედებას, ხოლო შემდგომ პერიოდში ახალ-
გაზრდა თაობამ დიდხანს გააგრძელა ეს
საშვილიშვილო საქმის შედეგად გურია დღეს
საკუთარი სასიმღერო ფოლკლორის მრავალფ-
ეროვნებით და სიმრავლით საქართველოს ყველა
კუთხეს აღვსებდა.“

სამუელ ჩხიკვიშვილი ჩემი ოჯახის უახლოე-
სი განვლდა. იგი მამამისს ვანი ახვლედიანის
ნაილა იყო, ამვე დროს საუკეთესო მეზობელი და
ჩვენს ოჯახს ხშირად სტუმრობდა. ერთხელ
ბათუმში ხარლამზე ახვლედიანს სამუელისათვის
უთქვამს: სამუელ ჩემი ბიჭი ვანიკა შენი
მონათლულია, შენ დიდი მოძღვრალი ხარ და დიდი
გამოცდილება გაქვს, შეეცადე იქნებ სიმღერა
შეასწავლო ბიჭს, ამ თხოვნამ შედეგი გამოიღო და
მისალოდნელზე მეტიც, სიმღერის შესწავლა
მამამისთან ერთად მისამ დამ ე.ი. მამდაჩემს
კატეუმ ახვლედიანს გადაწვებდა. სამუელის
დამსახურება ის, რომ შემდგომში და და მამ ვარ-
ლამ სიმონიშვილის ეთნოგრაფიული სახელმწიფო
გუნდის მოწინავე წევრები განვლდნენ. ერთხელ
მამამისს ანამბლის წევრები ვახშმად
მოუპატიებამათ შორის ვარლამ სიმონიშვილიც
ყოფილა. სანამ მეც ვაწვებდნენ, ვახშმს სხლის
წინ სამუელ ჩხიკვიშვილს ჩაუვლია, ვარლამს დაუ-
ნახავს და უკითხავს, ის სამუელი ხომ არ

არის? მივხვდები უთქვამს - კი არისო. დაუძახეს,
ვარლამს და სამუელს შორის გამართულა მეო-
ბრული საუბარი. შემდგომ ვარლამს თურმე
სიმღერა წამოუწყვიტა, თქმს უნდა სამუელიც
სიმღერაში აყვას, შუა სიმღერაში ვარლამს
ურთულეს ვარიანტებს მიმართა თურმე, როცა
სიმღერა დაამთავრეს, სამუელს უთქვამს ჩემი
შემოწმება ვინდოდა თუ გადავდებო (ამ შემთხვევაში
ვარლამს გაურთხილებლად სიმღერაში
სამუელისათვის შეუთავაზებია ხვეული
ვარიანტები, თუ ადვანს ვარიანტს ვერ
გაეცებოდი, ეწოდებოდა სიმღერაში გადავლება).“

სამუელ ჩხიკვიშვილი გარდა სიმღერის შეს-
რულებისა, ასევე მაღალი დონის მგალობელი ყოფი-
ლა. ბატონი ანტონ ერქომაიშვილი ბათუმს მოგო-
ნებთან აღნიშნავს, რომ „გურიაში ერთ-ერთ ბუმ-
ბერაში იყო მელქისედეკ ნაკამბერიშვილი, რომელიც
გა-
ლობდა ისწავლებს არტერ ერქომაიშვილს, სამუელ
ჩხიკვიშვილს, ილია ხომერიკიანი, დიმიტრი პატარავამ,
სამსონ ჭანუყვამ, დიმიტრი ხინთიბიძემ და კონ-
სტანტინე სალუქვაძემ.“

სამუელის განუყოფელი მეგობრები იყვნენ
სამუელ ჩავლიშვილი, ვლადიმერ ერქომაიშვილი,
ვარლამ სიმონიშვილი, ბესარიონ იმქორელი, ანტონ
ლუმბაქენსკორ კონტრები და სხვამათი შეხვედრები
ყოველთვის დიდი სიხარულით იმნი სიმღერით აღნი-
შნავდნენ შეხვედრებს და სიმღერითვე ემშვიდებო-
ბოდნენ ერთმანეთს.“

სამუელ ჩხიკვიშვილი გარდაიცვალა 1969
წელს. დაკრძალულია ოზურგეთში. სამუელ ჩხიკვი-
შვილს და მის მეუღლეს პულავი ბურჯულაძეს
შვილები არ ჰყოლიათ.

დღეს სამუელ ჩხიკვიშვილის შთამომავლებს,
კერძოდ მის ძმისშვილის შვილს, მამა ჩხიკვიშვილის
ოჯახს გადაწვევითი აქვთ მისი სახლის უკ-
აესყოფად სამუელის ძირითად ოჯახში მოაწიონ
სახლ-მუხუმი. ქალბატონი როზეტა საკაქონაშვილი
ბატონ მამა ჩხიკვიშვილის მეუღლე „ჩვენს ოჯახ-
ს და ჩხიკვიშვილების გვარს თხოვნილობდით
შემდგომ ორგანოებს მუხუმის გასწვრივ თაობაზე,
რაც დადებითი პასუხი მივიღე დიდი იმედი მაქვს
ადგილობრივი ხელისუფლების დახმარების, მუხუ-
მის შექმნით სოფელ დვამბურს კი ერთი კულტუ-
რული კერა შევქმნათ.“

მანანა ლომაძე,

ოზურგეთის სამუხუმი გაერთიანების ფონდ-
ების მთავარი მცველი

მთავარია, მოსაცდელში ახმედეს!



ცოტაცა, ცოტაცა და ამ ჩვენი ხელისუფლების
გადამკვდევ ჩვენი სოფლები მალე მიიღებენ ყოფილი
დასახლებული პუნქტების სტატუსს. უფროსი თაობა
ასაკითა და უდიდესი შრომით დამხმარებულ ფრთებს
კეცავს, სამუელს თავს უშვებს და ქალაქს მიაშურა,
სადაც ქუჩის მტკვრში ამოგანგულეს, გარეგანობა
ურჩევია ოროყანი თონის დაჭრას და ფარო-
სანასაგან განხრული კარმადამოს ცქერას, კანტიკუნ-
ტად შემორჩენილმა უმცირესმა და მცირე მუცლადმე-
ოფმაც კი, იცის, რომ დღევანდელი სოფელი სხვა
არაფერია, თუ არა ამქვეყნიური ვოლოხეთი, სადაც მზე
პირობითად ამოდის და უპირობოდ ჩადის.

ჰოდა, ახლა ლამის ნასახლარად ქვეყნად ამინ-
ისტრაციულ ერთეულებში მოქმედი, მაგრამ უთუოდ
მოსამორებელი ხელისუფლება, წინა, ჭირითი მოუ-
ორებელი ხელისუფლების მსგავსად, მგზავრთა მოს-
აცდელს ავებს. თურმე, მოსაცდელი ყოფილა სოფ-
ლის უმეტესობის პირობითი, დანა, მოსაცდელი,
რომელმაც, დიდი ალბათობით, ქართულ მიწას დაუ-
ფლებელი უცხოებლები ავდარში გადაიყვადრებენ,
ხოლო ცხელ ამინდში მზის დაკვრას აცილებენ
თავიდან.

მზის დაკვრას გურიაში „მზისტოკს“ ეძახოდნენ.
რამდენადაც ვიცი, ეს სიტყვა დღესაც არ გამოქალა
გურულების ლექსიკონიდან, რამაც არის გარკვეული
ლოგიკა. აბა, „მზისტოკადრტყეულის“ გარდა, ვინ იტყ-
ვის, რომ გვერანებულ, განანაგებულ, გაუბეღებულ
სოფელში დღეს პირობითი მგზავრთა მოს-
ცდელია? არადა, ასე ყოფილა ჩვენს ხელთ არსე-
ბული ოფიციალური ინფორმაციით, ოზურგეთის მუნი-
ციპალიტეტში მგზავრთა მოსაცდელს ავებენ
მულექტურში, მისიპირში (ოქროსქედი, უკანავე), ბაი-
ლეთში (ჭანეთური), ბოხვარში (ჭალა); ციხი-
სფერდში, ცხემლისხედი, შეოქმედში, წითელმაში,
კონჭკათში ლისაურში (აჭი, ვაშლილი), ხეშო და ქვემო
მაკვანეთში. მაკვანეთში (გოგეთი) მოხდება ასევე
ადრე ავებული მოსაცდელის რეაბილიტაცია.
ერთდროულად სამი მოსაცდელი შეკეთდება თურმე
ჯუმათის თემში (ანეთი, ბოგელი, ძირი ჯუმათი). მზ-
იანი ბოლოსთვის მოვებოვო და იცით რატომ? აქაც
პირობითი მგზავრთა მოსაცდელია, მამინ, როცა
სოფელში საზოგადოებრივი ტრანსპორტი საერთოდ
არ დადის და კერაში მხოლოდ სამ დღეს დაჰყავს
კერძო ტრანსპორტს მზანელები ოზურგეთში.

კაი, ბატონო, მოსახლეობას „მზისტოკმა“
დაარტყა, მაგრამ ამ ჩვენს ბედოვლათ ადგილობრივ
ხელისუფლებას ასე რამ შეუღიბნა თითო მგზავრზე
რომ ლამის თითო მოსაცდელის ავებას აპირებენ?

წინა ხელისუფლებამ რომ ავფო, ის სადა
გაჰქრა, კაცო?!

„რაც შეეხება მგზავრთა მოსაცდელს, მას წინა
ხელისუფლების დროსაც ავებდნენ და, სამწუხაროდ,
დღეს მდგომარეობით არაერთი მოსაცდელი დან-
გრეული ან შესაკეთებელია, როგორც ამბობენ, ამ
ნაგებობების ხარისხი ე. წ. „ატკატებს“ შეეწირა.“
ჩემი არ გვენოთ, ეს გიორგი ლურჯუშვილის
სიტყვებია. რატომ რჩება მუნიციპალიტეტის საკრე-
ბულოს თავმჯდომარის მოადგილის ნათქვამი „ხმად
მალადგებისა უდაბნოს შინა“? დინტერესდა ვინმე
ამით თუ მოსაცდელი მოდამა და ახლა ამკავად
მოქმედი ხელისუფლების „ატკატების“ ვერა?
მეც კაი ტიპი ვარ, ტიპებს სისტემური დანაშაუ-
ლებრივი რეჟიმი შეარჩინეს და „ატკატებისთვის“
მოსთხოვენ პასუხს?!

როგორც ჩანს, ამ პირველ და მეორე ხმებს ხალხ-
მა ყური შეაჩვია, მეტიც, ბანი შეაწია და გუგუნებს
ახლა მოელ ქვეყანაში „სოფლის შენებას რა უნდა“. იფ,
არაფერი სლოობება, მთავარია, აშენდეს
მოსაცდელი, სადაც მგზავრები ცოტა ხნით, მორიგი
„ატკატების“ ამოწურვამდე მოიცდიან, მერე კი ყველას
მოსტ... პატრონი!
პარდონ!

თეიმურ მარგანიშვილი.

ოზურგეთელმა კარატისტებმა საქართველოს
ტურნირზე 7 მედლის მოპოვება შესძლეს!

თბილისში კარატეში საქართველოს
ტურნირი „OPEN -TBILISI“, გაიმართა.
ასპარეზობაში 12 ქვეყანა : საქართველო ,
რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, ბე-
ლორუსია, კატარი, ქუვეითი, თურქეთი, ეგვიპტე,
პოლონეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები
- 1200-ზე მეტი სპორტსმენით დასრულებდა
მონაწილეობას.
ოზურგეთელმა კარატისტებმა შეეცადნენ
წარმატებით დასაპრეზენტეს და ტურნირიდან 3 -
ოქრო, 2 ვერცხლი, და 2 ბრინჯაო წამოიღეს.
ომარი: ლუკა ვანიძე 38 კგ. წონითი კატე-
გორია (8 -9 წელი)
მარიამ ღლონტი 48 კგ. წონითი კატეგო-

რია (16-17 წელი)
ია ღლონტი 59 კგ. წონითი კატეგორია (16-17 წელი)
მირცხელი: ლაშა კოსტავა 52 კგ. წონითი კატეგორია (14-15 წელი)
ზატა გოგელია 59 კგ. წონითი კატეგო-
რია (16 -17 წელი)
ბრინჯაო: ბექა კოსტავა 30 კგ. წონითი
კატეგორია (8-9 წელი) **გიორგი მიმინიშვილი**
68 კგ. წონითი კატეგორია (16- 17 წელი)
- III ადგილი
ოზურგეთელი სპორტსმენები ასპარეზობის-
ათვის მწვერთელმა, შოთა ღლონტმა მოამზადა.



6 მედალი სავატეში!



ქ. თბილისში სავატეში საქართველოს ჩემპი-
ონატის შესარჩევი ტურნირი ჩატარდა. სავატე ფრან-
გული ორთაბრძოლის სახეობაა, რომელიც 2024
წლიდან ოლიმპური სახეობა ხდება.
ასპარეზობაზე წარმატებით გამოვიდნენ ოზურ-
გეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამავ-
ანსადგულ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსე-
ბული ოზურგეთისა და ურეკის ტაკვანდოს სექციის
ექვსი სპორტსმენი. შესაბამისად სახლში ექვსი
მედალი წამოიღეს: **ანდრია მყავა** 30 კგ. წონითი
კატეგორია (8 წლის) - I ადგილი, ურეკის სექცია.
გიორგი სოსხე 25 კგ. (6 წლის) - II ადგილი, ურე-
კის სექცია **თემურ ბუცხრიკიძე** 40 კგ. (II წლის) -
III ადგილი - ურეკის სექცია **გურამ ფახურაძე** 45
კგ. (12 წლის) - III ადგილი, ურეკის სექცია **ოსებ
სკამოჩაიშვილი** 90 კგ. (17 წლის) - II ადგილი -
ოზურგეთის სექცია **სოსო ვარდა** 55 კგ. (16 წლის)
- III ადგილი. ოზურგეთის სექცია სპორტსმენები
შეეცადნენ ოზურგეთის მწვერთელმა **ირაკლი ტულუშა** და
გიორგი ბერიძემ მოამზადეს.

დავით უამოქმედელი და მისი უამოქმედება



დღეს თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო პოეტის, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის, საქართველოს კულტურის დესპანის, გალაკტიონ ტაბიძის, დავით აღმაშენებლის, ივანე მაჩაბლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატის დავით უამოქმედელის დაბადების დღეა. მას 66 წელი შეუსრულდა.

დავით უამოქმედელი არის სხვადასხვა ჟანრის ლექსების, მოთხრობებისა და ესეების ავტორი. გამოცემული აქვს 20-ზე

მეტეტი წიგნი. მისი უამოქმედება თარგმნილია და გამოცემულია რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე. მისი ავტორობით ინგლისურ ენაზე გამოცემულია სამეცნიერო წერილების კრებული „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის შედეგები“.

ვულოცავთ სახელოვან მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს დაბადების დღეს, ვუსურვებთ შემდგომ უამოქმედებით წარმატებებს და აქვე გთავაზობთ მის რამდენიმე ლექსს.

ზღურბლთან...

საკვირაო წირვები...
 პოკერ კლუბები... კაზინოს სახლები...
 წითელ ფარდებარიალებული
 ბორდლები... ბორდლები... ბორდლები...
 ღმერთთან, ღმერთის გარეთ
 თუ ეშმაკთან.
 ყველა კარი ღიაა და ყველა კარი დახშული.
 ყველგან საშვია საჭირო –
 წმინდანობის ან ურწმუნოების,
 ან ბოლომდე დაცემის.
 ... დედა აღმართს რომ აუყვებოდა, შორიდან,
 ლანდი იყო თუ ადამიანის სილუეტი,
 ვერ არჩევდი.
 სოფლის ეკლესიამდე დაკიდულ ბილიკზე
 შენც ბეგრჯერ ავივლია.
 ღმერთთან მიდიოდი, რიტუალთან,
 თუ შენს დაკარგულ უხილავ „მესთან“...
 პო, დამავიწყდა, სანამ
 ტაძრის გალაგნამდე აღწევდი,
 გზად ბოზ ნანუკიას
 სახლთან უნდა გაგველო.
 შეგეძლო ვერ ევას –
 ცოდვის ნაყოფს – "ზიარებოდი"
 და მერე უფლისას.
 რამდენჯერ, მისი კარის ზღურბლთან მდგარს,
 ქვემოთ – ნანუკიას მოშლილფეხი მკერდის
 ტუბუსთავები გემახდა,
 ზემოთ – შენი სოფლის ეკლესიის ზარების რეკვა.
 სულერთი იყო,
 მეზობლის მწიფე გულაბს მოიპარავდი, თუ
 ნანუკიას სავსე თეძოებს...
 იქ, ზემოთ, უფლის სახლი და თან სოფლის სასაფლაო,
 იქ არ იხადებოდნენ, მაგრამ საბოლოოდ
 ყველანი იქ სახლდებოდნენ.
 ზემოთ – მარადიული სოფელი,
 ქვემოთ – ჩვენ დასიზმრებულები,
 შეგუწურვდით ბუნდოვანი გაოცებით
 ყოველ შაბათ-კვირას

და სადღესასწაულო დღეებში
 ძინ-ძინ-ძინ – როგორ წკრიალებდა
 სოფლის ვეებერთელა ზარი
 და ზღურბლთან არ გვაყენებდა...

რას მეტყვი, ცაო,
 უხიფათო შენაც არა ხარ,
 სამხრეთის ცაზე,
 წუხელ ძერღე გადაიფრინა...

ჩემს ბავშვობასთან წაგვევანე,
 სოფლის ბილიკო,
 სასაფლაოსკენ როცა გარბიხარ...

იულების ყვითელ ხანძარში
 შენ შეგამჩნიე, გულთუთრა ჩიტო,
 ოღონდ ვერაფრით დავადგინე,
 ვის უგალობდი...

ვრი

ვზივართ მე და ჩემი ბიჭი
 მდინარიდან დაბრუნებულნი
 გადაჭრილ მორზე,
 სოფლის სასაფლაოს გვერდით,
 მყუდროებას მხოლოდ
 კუტკალიების ხმა არღვევს.
 ვზივართ ასე ერთმანეთის
 პირისპირ...
 მარადისობაში წამით დასიზმრებულები,
 ერთი საწყისის
 ორი საპირისპირო პოლუსი.
 მე სიკვდილისკენ ვიხრები,
 ის სიცოცხლისკენ.
 აქედან ასიოდე მეტრში
 მამაჩემის საფლავია.

 წუხელ მესიზმრა –
 ჩემი ბიჭის ღიმილი ჰქონდა...

ნარდი გურულების თამაში

გურიის ჩემპიონატი ნარდში ქალთა შორის



სამაგიდო სპორტის ყველაზე აზარტულ, დინამიკურ სახეობას ნარდს გურიაში ოდითგანვე თამაშობენ. ტრადიცია დღესაც გრძელდება და ამ საქმეში ღირსის წვლილი მიუძღვის გურიის ნარდის ფედერაციას (თამაზ სალუქვაძე, ოლეგ გობრონიძე, ზურაბ ანდლულაძე, ხალამპრე დოლიძე) სწორედ ფედერაციის სწორი მართვისა და მასშტაბური საქმიანობის შედეგია ის, რომ გურულმა მონარ-

დებმა არაერთ წარმატებას მიაღწიეს არა მხოლოდ რაიონულ და რეგიონულ, არამედ რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებზეც. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში აქტიურობენ გურული მშვენიერი სქესის წარმომადგენლები.

გურულმა ქალებმა გასულ ხუთშაბათს, 4 აპრილს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ნარდი, მიუხედავად აღმოსავლური წარმოშობისა, გურუ-

ლების თამაშია.

მოკლედ, გურიის ჩემპიონატმა ნარდში ქალთა შორის, რომელშიც 64 ქალი მონაწილეობდა, საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ასეთი მაღალ დონეზე ორგანიზებული, ემოციებით დატვირთული შეჯიბრი ნებისმიერი დონის ჩემპიონატს დაამშვენებდა. იღბლიანი ოთხეულის, ანუ ნახევარფინალისტების გამოვლენამდე, რამდენიმე ისეთი პარტიის გათამაშების თვითმხილველი შევიქნით, რომელიც ფინალურ ორთაბრძოლასაც დაამშვენებდა. იყო შეცდომები, სენსაციები, მოულოდნელი გამარჯვებები და დასანანი მარცხიც, სიხარულიც და ცრემლიც.

მესამე ადგილისათვის ერთმანეთს გაეჯიბრნენ ნახევარფინალში ხელმოცარული მონარდები ნატაშა მიხაილოვა და ნინო ორაგველიძე. გამოცდილმა მიხაილოვამ თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და 4:1-ით დაწინაურების შემდეგ ნინო ორაგველიძემ, რომელმაც მანამდე შეუპო-

ვარ ბრძოლაში რამდენიმე ფავორიტი დაამარცხა, შეწყვიტა წინააღმდეგობა. ნატაშა მიხაილოვა ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური მოჭადრაკე ქალია, რომელიც საპრიზო ადგილის გარეშე არ ტოვებს ტურნირებს.

ყველა დიდი ინტერესით მოელოდა შარშანდელი ჩემპიონატის გამარჯვებულის თინკო გოგოლაძისა და ტურნირის დებიუტანტის იათაშე კალანდაძის ორთაბრძოლას. ღირდა კიდევ ეს ორთაბრძოლა მოლოდინად. ორივე მონარდემ დაამტკიცა, რომ ფინალში ღირსეულად მოხვდნენ. საბოლოოდ დამაჯერებლად, ანგარიშით 5:1 გამარჯვდა იათაშე კალანდაძემ, რომელმაც ამ გამარჯვებით გურიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ახალი ჩემპიონის სურვილია ვაჟთა ჩემპიონატშიც მოსინჯოს თავისი შესაძლებლობები.

შეჯიბრების ყველა მონაწილე დაჯილდოვდა სიგელებითა და სუვენირებით. ფასიანი საჩუქრები და შესაბამისი ხარისხის მედლები გადაეცათ

საპრიზო ადგილებზე გასულ თიკო გოგოლაძესა და ნატაშა მიხაილოვას, რა თქმა უნდა, უფრო ძვირადღირებული საჩუქრის, ჩემპიონის მედლისა და თასის მფლობელი გახდა იათაშე კალანდაძე, რომელსაც, გურიის ნარდის ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად, ერგო ჩემპიონატისთვის საგანგებოდ დამზადებული ორიგინალური ტორტის გაჭრის პატივი.



7 დღის ამინდის პროგნოზი

მზა +10+21 8 აპრილი ორშაბათი	მზა, ღრუბელი, +10+22 9 აპრილი სამშაბათი	მზა, ღრუბელი, +9+20 10 აპრილი ოთხშაბათი	ღრუბელი, +7+16 11 აპრილი ხუთშაბათი	მზა, ღრუბელი, +10+18 12 აპრილი პარასკევი	მზა, ღრუბელი, +11+19 13 აპრილი შაბათი	მზა, ღრუბელი, +11+19 14 აპრილი კვირა
---------------------------------	--	--	---------------------------------------	---	--	---